created by ENPARD

ინფორმაცია დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მომხსენებელი მანანა ყატაშვილი - ასოციაციის დირექტორი

- 2024 წელი მსოფლიოში პროგნოზირებული იყო ტურიზმის სექტორის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, მაგრამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში განსხვავებული მდგომარეობა იყო.
- როგორც დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტატისტიკის ანალიზით ირკვევა, 2024 წელს სულ საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე შემოვიდა 1 110 885 ქართველი და უცხოელი ვიზიტორი (2023 წელს იყო-1078112 ვიზიტორი).

სტატისტიკა

დედოფლისწყაროში შემოსული ვიზიტორების უმრავლესობა სწორედ დაცულ ტერიტორიებს სტუმრობს. ქვეყანაში შემოსული ვიზიტორების რაოდენობა, წინა წელთან შედარებით, გაიზარდა, მაგრამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე დაცულ ტერიტორიებზე ასეთი მდგომარეობაა:

წლები	2021	2022	2023	2024	
ვაშლოვანის ეროვნული პარკი	4053	3900	5924	5004	
ჭაჭუნას აღკვეთილი	2109	2910	2739	2265	
სულ	8183	8832	8663	7269	0,65%
სულ ვიზიტორები საქართველოს დაცულ ტერიტორიებზე	589098	902063	1078112	1110885	

- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ნუგზარ ზაზანაშვილის სახელობის სამუხის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია, რომელიც კანონის მიხედვით, 2023 წლის 1 იანვრიდან ფუნქციონირებს, დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტატისტიკაში ასახული არ არის.
- როგორც ხედავთ, სტატისტიკას, 2022 წლიდან, რაც იუნესკომ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტს ბიოსფერული რეზერვატის სტატუსი მიანიჭა, ვიზიტორთა რაოდენობა მცირდება, თუმცა ქვეყანაში ეს რიცხვი ზრდადია. ამ „პარადოქსის“ მიზეზები შესასწავლია.
- როგორც ჩანს, ბიოსფერული რეზერვატის და ადგილობრივი ტურისტული რესურსების პოპულარიზაციის მიზნით საჭიროა აქტიური მარკეტინგული ღონისძიებების გატარება, რაც არ ხდება.

ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმი

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობა - მირზაანის ნიკო ფიროსმანის სახელმწიფო მუზეუმი - რეაბილიტაციის გამო თითქმის ვერ იღებდა და კვლავ ვერ მიიღებს ვიზიტორებს. სავარაუდოდ, რეაბილიტაციის გაგრძელებული პროცესის გამო არც ამ მუზეუმის ადმინისტრაცია აწარმოებს აქტიურად მარკეტინგულ ღონისძიებებს.

ადგილობრივი ბიზნესის სტატისტიკა

სამწუხაროდ, ადგილობრივი ბიზნესები, ვიზიტორთა სტატისტიკის წარმოების დაბალი კულტურის გამო,

სტატისტიკას ან არ აწარმოებენ, ან არ აქვთ ინფორმაციის გაზიარების სურვილი;

მარკეტინგი

ფაქტია, რომ დედოფლისწყაროს როგორც ტურისტული დესტინაციის განვითარებაზე სახელმწიფო ორგანიზაციებთან ერთად ადგილობრივმა კერძო ბიზნესებმაც უნდა ვიზრუნოთ.

რაკი ჩვენ სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობაში ვერ ჩავერევით, ისღა გვრჩება, თავად გავაუმჯობესოთ ჩვენი რაიონის პოპულარიზაციისთვის მარკეტინგული ღონისძიებები.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ტურიზმისა და გარემოსდაცვით საკითხებზე

2023 წელს ჩვენს ორგანიზაციას საქართველოს სატყეო სექტორის განვითარების პროგრამის ფარგლებში (ეკო-ჯორჯია) წარდგენილი ჰქონდა საგრანტო პროექტი ტყის რესურსების მდგრადი მართვის და ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა დედოფლისწყაროში.

მისი მიზანი იყო ტყის მდგრად მართვაზე მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა და ეკო ტურიზმის და სოფლის ტურიზმის პროდუქტების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა.

აღნიშნული პროექტით გათვალისწინებული იყო:

ტყის მდგრადი მართვის პროცესიდან მიღებული სარგებლის შესახებ ადგილობრივი თემის ინფორმირებულობის გაზრდა;

ადგილობრივების დაინტერესება ეკოტურიზმის და გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონე სხვა ბიზნესების განვითარებით;

ინფორმაციის შექმნა და გამოქვეყნება ონლაინ სივრცეში (ასოციაციის საიტი https://dtda.ge/, სოციალური ქსელები და სხვა) და მედიასაშუალებებში ტყის რესურსების და ბიომრავალფეროვნების მდგრადი მართვის უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებაზე პარალელებისა და კონტრასტული მაგალითების გამოყენებით, ასევე-ინფორმაციის გავრცელება დედოფლისწყაროში არსებული ტურისტულ ბიზნესებზე და ეკო ტურისტული, აგროტურისტული, გასტრონომიული ტურიზმის რესურსების და ბიზნესის განვითარების შესაძლებლობებზე;

ტრენინგების ჩატარება ტურიზმში ჩართული პირებისთვის;

ეს ღონისძიებები ნაწილობრივ ხელს შეუწყობდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პოპულარიზაციასაც ინტერნეტ სივრცეში, გაიზრდებოდა საიტის მნახველთა რიცხვიც, რადგან ხშირად გამოქვეყნდებოდა ახალ-ახალი ინფორმაციები. ამით ჩვენი ასოციაციის საიტი საძიებო სისტემებში კვლავ წინა რიგებში გამოჩნდებოდა. მაგრამ საქართველოში „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის ამოქმედების გამო დონორთან ხელშეკრულება არ გაფორმდა.

პროექტი 2024 წელს უნდა განხორციელებულიყო. დადასტურებული გვქონდა საგრანტო პროექტის დაფინანსება 10 000 ევროს ოდენობით (GIZ-ის დონორობით), მაგრამ შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე ასოციაციის წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით ამ გრანტზე უარის თქმა მოგვიწია.

რა გააკეთა ასოციაციამ 2024 წელს? რა გააკეთა მისმა თითოეულმა წევრმა საერთო საქმისთვის და თავისი პირადი ბიზნესის გასაძლიერებლად?

2023 წლის შემოდგომაზე ოფიციალურად დასრულდა ესტონეთის სოფლის ტურიზმის ორგანიზაციის და დედოფლისწყაროს ტურიზმის განვითარების ასოციაციის ერთობლივი პროექტი.

მაგრამ ესტონელებმა ჩვენთან ერთად გააგრძელეს მუშაობა დედოფლისწყაროს ტურისტული ობიექტების გარე რუკაზე, რომელიც 2024 წელს ჩამოვიდა საქართველოში.

შემუშავდა ასევე მეწარმეებისთვის „კარგი მასპინძლის“ ხარისხის კრიტერიუმებზე მოკლე სახელმძღვანელოც.

ორივე გამოქვეყნებულია ჩვენს საიტზე.

ასოციაციის მიმდინარე საქმიანობის მოსახლეობისთვის გაცნობის, მისი პოპულარიზაციის, რაიონის ტურისტული პროდუქტების ცნობადობის გაზრდის, ტურიზმისა და გარემოსდაცვით საკითხებზე მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით შემლებისდაგვარად ქვეყნდება ინფორმაცია ასოციაციის საიტზე: dtda.ge.

ვთანამშრომლობთ ადგილობრივ გაზეთ „შირაქთან“.

იმისთვის, რომ ასოციაციის საიტი აქტიურად, 1-ლ გვერდზე ჩანდეს საძიებო სისტემებში, საჭიროა მასზე ინფორმაციის პერიოდული განახლება ასოციაციის წევრთა მიერ მოწოდებული ფოტოებით და კონტენტით, **რაც ჩვენი მცდელობის მიუხედავად, ჯერაც ვერ იქნა მიღწეული.**

ზოგადი საკითხები

- რადგან 2023 წელს არ გვქონია შემოსავლები უცხოური წყაროდან, ამიტომ არ დავრეგისტრირდით უცხოური ძალის გავლენის აგენტების რეესტრში.
- 2024 წელს GIZ-ის ექსპერტების/მენტორების დახმარებით შევიმუშავეთ ორგანიზაციის საქმიანობისთვის მნიშვნელოვანი დოკუმენტები:
  - კომუნიკაციის სტრატეგია
  - ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის პროცედურული სახელმძღვანელო
  - შრომის შინაგანაწესი
  - საქმისწარმოების წესი
  - ფონდების მოძიების სტრატეგია
  - ასოციაციის განვითარების სტრატეგია. ეს დოკუმენტი განვაახლეთ, მაგრამ ქვეყანაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, მას კვლავ ცვლილებები სჭირდება ორგანიზაციის განვითარების ცუდი სცენარების გასათვალისწინებლად, რაშიც თქვენი დახმარება და მონაწილეობა აუცილებელია.
- აღნიშნული დოკუმენტები, ასოციაციის წესდებასთან ერთად, გამოქვეყნდება Google drive-ზე და მასზე წვდომა გექნებათ ასოციაციის წევრებს თქვენი Google ელექტრონული ფოსტიდან.

- ამ ეტაპზე დროებით მხოლოდ მიმდინარე ოპერატიული საკითხების გადაჭრით ვართ დაკავებული.

სიახლეები

- 2023 წლის 15 დეკემბერს გამოქვეყნდა საქართველოს ახალი კანონი ტურიზმის შესახებ, რომლის მხოლოდ მუხლების ნაწილი ამოქმედდა.
- გამოქვეყნდა „აგროტურისტული და ღვინის ტურიზმის საქმიანობის პრინციპების, საქმიანობის სუბიექტების სტატუსის მოპოვებისა და გაუქმების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბრის დადგენილება N 465.
- ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია პროგრამასთან „აწარმოე საქართველოში“ ერთად მუშაობს ოჯახური გასტრომასპინძლების პროექტზე „მზისკარი“.

ფინანსები:

2024 წლის 1 იანვრისთვის ანგარიშზე გვქონდა 386,64 ლარი.

2024 წელს სულ შემოსულია 2020-2024 წლების დარჩენილი და მიმდინარე საწევროების სახით 1020 ლარი.

აქედან საიტის დომეინის, ჰოსტინგის, საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაციის საწევროს, საბანკო ანგარიშის შენახვის და რუკების ტრანსპორტირებისთვის დაიხარჯა სულ 503 ლარი. ანგარიშზე 01.01.2025 გვქონდა 903,64 ლარი.

ჯერ კიდევ ცოტა წევრს აქვს სრულად გადახდილი 2023, 2024 წლების საწევროები.

იმის გამო, რომ ზოგიერთი წევრი სისტემატურად არ იხდიდა საწევროს, არ მონაწილეობდა ასოციაციის საქმიანობაში, არ ესწრებოდა ჩვენს ღონისძიებებს, აღარ აქვს ასოციაციის წევრობის სურვილი, ასოციაციის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება და, წესდების მესამე მუხლის შესაბამისად, რიგ წევრებს შეუწყვიტა ასოციაციის წევრობა.

ასეთია 10 წევრი.

კვლავ გვაქვს ჩვენი ორგანიზაციის გამოწვევები:

- საიტზე ასოციაციის წევრ ბიზნესებზე ინფორმაციის სავალდებულო განახლების აუცილებლობა;
- ჩვენი ბიზნესების სტატისტიკის წარმოების და ნაკრების გაანალიზების საჭიროება და აუცილებლობა;
- ერთობლივი ტურების შედგენა და განფასებები;
- ყველა წევრის მიერ ინტერნეტში თავისი ბიზნესის პროფილის შექმნა, განახლება, მართვის პრობლემების გარკვევა და გამოვლენილი სირთულეების აღმოფხვრა;
- ტურიზმში ახალგაზრდების, ჩვენი ოჯახის წევრების და ახლობლების, ასევე-ხელსაქმის ადგილობრივი ოსტატების, ჩართვის აუცილებლობა;
- ფინანსური სახსრების მოძიება ბუღალტრის, საიტის ადმინისტრატორის, მარკეტინგის სპეციალისტის და ოფის-მენეჯერის ანაზღაურებადი თანამდებობისთვის.

მადლობა ყურადღებისთვის!

created by ENPARD